

ქ.თბილისი

2018 წლის 25 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 25 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ი. შიოლაშვილის ოქმი და მთავარი მსაჯის ო. მოგელაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 21 აპრილს, რეგიონალური ლიგის მატჩზე, თელავის „თელავი“-სა და ჭიათურის „ჭიათურა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თელავის „თელავი“-ს მორაგბე ირაკლი აზნიაშვილი - მოწინააღმდეგესთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
2. თელავის „თელავი“-ს მორაგბე ლაშა ყურაშვილი - მოწინააღმდეგესთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.6, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 2.6, 2.8. პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თელავის „თელავი“-ს მორაგბე ი. აზნიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 6(ექვსი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 400(ოთხასი) ლარით.
2. თელავის „თელავი“-ს მორაგბე ლ. ყურაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.6 და 2.8 პუნქტები და კლუბ თელავის „თელავს“ რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 6 (ექვსი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/